ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 224

ქალაქი ქუთაისი 30 აგვისტო 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქი ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი, I შესახვევი, №14ა)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის
საკუთრებაში გადაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აგვისტოს №5/43369 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 23 აგვისტოს 44-4423235173 წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სარგებლობაში გადაცემის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის I შესახვევის, №14ა-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.06.25.466; ფართობი: 650.00 კვ.მ.).

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია

საქართველო. ქუთაისის საკრებულო
ფას. №65
31" 08 2023.

საქართველო ქალაქ ქუთაისის მერიის სკრიპტორიუმი